



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
№ 8 დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისია

განკარგულება №97/2020

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისათვის
№06 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქის ზოგიერთი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების
შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

ქ. თბილისი

15 ნოემბერი 2020 წ.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 25-ე მუხლის მე-8 პუნქტის, 21-ე მუხლის „ო“ ქვეპუნქტისა და 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 1 სექტემბრის №69/2020 განკარგულების საფუძველზე. №08 დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. გამოცხადდეს საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისათვის №06 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალ : №06.07.02; №06.07.04; №06.08.07; №06.08.13; №06.08.15; №06.08.19; №06.08.38; №06.08.45 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსის;


მუხლი 2. საბუთები მიიღება 2020 წლის 16 ნოემბერს, 10:00 საათიდან - 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართებზე: (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 140; ქ.თბილისი, ჯავახიშვილის №51). ელ. მისამართი 08_didube@cec.gov.ge; 07_chughureti@cec.gov.ge;

მუხლი 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №138) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის მდივანი



ლიკა ავალიშვილი

თამარ ჭკუასელი